#442

18 სექტემბერი, 2023 წ.

ტელეკომპანია ,,ფორმულას'' (ს/კ 405345666) თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება

შპს G &A GROUP-ის საჩივრის დასაშვებობის თაობაზე

კომისიის შემადგენლობა:

დირექტორი-ზურაბ გუმბარიძე

პოლიტიკური გადაცემების მთავარი პროდიუსერი-გიორგი ლაფერაშვილი

გადაცემა ,,დილა ფორმულაზე'' მთავარი პროდიუსერი- ლიკა კინწურაშვილი

,,შაბათის ფორმულას'' პროდიუსერი- მაკა ფანქველაშვილი

დაინტერესებული პირი/საჩივრის ავტორი

შპს G & A GROUP-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, დათო კესარელი.

კომისიის განმარტება

მიმდინარე წლის 08 სექტემბერს ტელეკომპანია ,,ფორმულაში'' შემოვიდა მიმართვა, რომელიც შეეხებოდა მაუწყებლის ეთერში 2023 წლის 17 აგვისტოს კომპანია ,,რერას'' შესახებ გასულ სიუჟეტს. მიმართვის ავტორია შპს G & A GROUP-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, დათო კესარელი. დათო კესარელმა განცხადებას თან დაურთო მინდობილობა, რომელიც 2023 წლის 29 მარტს არის გაცემული 3 წლის ვადით და რომლის ძალითაც, მას კომპანია G&A Group-ის დირექტორი ანიჭებს უფლებამოსილებას საჩივრით მიმართოს ნებისმიერ ორგანიზაციას.

<u>**მიმართვის შინაარსი:**</u> მიმართვაში ნათქვამია, რომ განსახილველ სიუჟეტში არხის გაშუქება იყო ცალმხრივი, მასში გაკეთებული განცხადებები არ იქნა გადამოწმებულ მომჩივან კომპანიასთან და გავრცელებული ცნობები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. განმცხადებელი მიუთითებს 6 ციტატაზე სიუჟეტიდან, რომლებიც, მისი თქმით, არ შეესაბამება სინამდვილეს და ამ ციტატებზე კომპანიის პოზიციას აჟღერებს. მიმართვას თან არ აქვს დართული რაიმე

დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა, კომპანია მზაობას გამოთქვამს, წარმოადგინოს დოკუმენტები მოთხოვნის შემთხვევაში.

საჩივრის ავტორის მოთხოვნა:

(1) უმოკლეს ვადაში გადამოწმდეს 17 აგვისტოს სიუჟეტში გაჟღერებული ფაქტების სისწორე;
(2) ეთერში გასული სიუჟეტის ინტერნეტ სივრციდან იქნას ამოღებული;
(3) ფაქტების გადამოწმების საფუძველზე, მომზადდეს ახალი სიუჟეტი, სადაც გაჟღერდება გადამოწმებული და ზუსტი ინფორმაცია.

საჩივრის დასაშვებობა

ვინაიდან მიმართვა შეეხება ტელეკომპანია ,,ფორმულას'' ეთერით გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს და განმცხადებელი მოითხოვს სიუჟეტის ინტერნეტ სივრციდან ამოღებასა და ხელახალი სიუჟეტის მომზადებას, ვხელმძღვანელობთ ,,მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის'' 52-ე და 59-ე პრიმა მუხლებით (ფაქტის ჯეროვანი სიზუსტე და პასუხის უფლება). 52-ე მუხლი, ზოგად ვალდებულებას უდგენს მაუწყებელს, რომ ყველა ზომა მიიღოს პროგრამაში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწოროს შეცდომები დაკონკრეტულად განსაზღვრავს, თუ რა წესების დაცვით უნდა ისარგებლონ შესწორების უფლებით დაინტერესებულმა პირებმა. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია საწყისი განცხადების გაკეთებიდან (მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან) 10 დღის ვადაში შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს, მისცეს მას შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს საწყის განცხადებაში მოყვანილი არასწორი (მცდარი) ფაქტის შესწორება ან უარყოფა მაუწყებლის ეთერში თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა. ამავე კანონის 59-ე პრიმა მუხლში ვკითხულობთ, რომ ამ კანონის 52-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. შესაბამისად, ფაქტების სიზუსტესა და დროულად შესწორების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება თვითრეგულირებოს ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენს.

,,მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის'' მე-14 მუხლის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, ტელეკომპანია ,,ფორმულა'' თვითრეგულირების მექანიზმის მეშვეობით განიხილავს საჩივრებს შპს ,,ფორმულას''

დირექტორის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს გამოცემული ბრძანების (#Formula00-002(27/09) საფუძველზე გამოცემული დებულების შესაბამისად. წინამდებარე დებულება საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს საჩივრის დასაშვებობის ფორმალურ კრიტერიუმებს, საჩივრის განხილვის ვადებს, პროცედურებს და სხვა გარემოებებს.

<u>დათო კესარელის მიმართვა, მისი შინაარსისა და მოთხოვნის გათვალისწინებით, კანონის ზემოთმითითებული ორი მუხლიდან (მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მული და 59-ე პრიმა) გამომდინარე, მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება.</u>

განაცხადის დასაშვებობის საკითხი

კანონი, ისევე როგორც ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსი'' და ტელეკომპანია ,,ფორმულას'' თვითრეგულირების ორგანოს დებულება, ადგენენ განაცხადის დასაშვებობის კრიტერიუმებს. ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' მე-6 მუხლი განსაზღვრავს განცხადებების შესწორებისა და უარყოფის წესს, სადაც ვკითხულობთ, რომ დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.

ხოლო, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საწყისი განცხადების გაკეთებიდან (მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან) 10 დღის ვადაში შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს, მისცეს მას შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს საწყის განცხადებაში მოყვანილი არასწორი (მცდარი) ფაქტის შესწორება ან უარყოფა მაუწყებლის ეთერში თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა.

ესე იგი, კანონი და კანონზე მითითებით, კოდექსი, ადგენენ, რომ საწყისი განცხადებების უარყოფის, მცდარი ფაქტების შესწორების უფლება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუკი მაუწყებლისადმი მიმართვა განხორციელდება საწყისი განცხადებების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში. ეს იმპერატიული მოთხოვნაა და ყველა კონკრეტული განაცხადი ამ წესის შესაბამისად უნდა შემოწმდეს და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მისი დასაშვებად, ან დაუშვებლად ცნობის თაობაზე. ინფორმაცია მალფუჭებადი პროდუქტია, კანონმდებელმა ინფორმაციის და სიახლის აქტუალურობის მოთხოვნის შესაბამისად, 10-დღიანი ვადა დაადგინა.

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად კი, მაუწყებელი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას პასუხის უფლებაზე, თუ: ა) ფაქტის შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში არ ყოფილა წარდგენილი.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო სიუჟეტი ეთერში გავიდა 17 აგვისტოს, განცხადება კი, ჩაგვბარდა მხოლოდ 08 სექტემბერს, ანუ ინფორმაციის გავრცელებიდან 3 კვირაზე მეტი იყო გასული. იქიდან გამომდინარე, რომ არ არის დაკმაყოფილებული განცხადების განსახილველად მიღებისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმალური კრიტერიუმი, მიგვაჩნია, რომ აზრს მოკლებულია განცხადების შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით მსჯელობა.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

კომისიამ ტელეკომპანია ,,ფორმულაში'' შემოსული განცხადება განიხილა მისი დასაშვებობის კუთხით, მაუწყებლობის შესახებ კანონის და კომისიის დებულების შესაბამისად, და დაადგინა, რომ:

(1) შპს G & A GROUP-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, დათო კესარელის განცხადება დაუშვებლად იქნას ცნობილი.
(2) გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს განცხადების წარმდგენ დაინტერესებულ პირს.
(3) გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან შვიდი (7) დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში. სააპელაციო საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას #45, ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: legal@formula.ge

კომისიის წევრები:

ზურაბ გუმბარიძე

eSigned by:
ზურაბ გუმბარიძე: e7513695-edb4-4a1d-a7c0-6....
ზ. გუმბარიძე
Certified by Signify

გიორგი ლაფერაშვილი

eSigned by:
გიორგი ლაფერაშვილი: 670010e5-3809-4433-8....
გიორგი ლაფერაშვილი
Certified by Signify

ლიკა კინწურაშვილი

eSigned by:
ლიკა კინწურაშვილი: c45ea802-70cb-4d54-ab2....
ლიკა კინწურაშვილი
Certified by Signify

მაკა ფანქველაშვილი

eSigned by:
მაკა ფანქველაშვილი: 164729c9-e5ae-4809-82....
მაკა ფანქველაშვილი
Certified by Signify